

## **„სოხუმში უკანონოდ დაკავებული ბინებიდან ცხრა ოჯახი გამოასახლეს“**

ოკუპირებულ სოხუმში არგუნის ქ. №18 (ახალი რაიონი) მდებარე სახლიდან ე.წ. მილიციის თანამშრომლების მეშვეობით უკანონოდ დაკავებული ბინებიდან 9 ოჯახი გამოასახლეს.

ტელეკომპანია „Abaza TB“-ს ჟურნალისტი გაესაუბრა ე.წ. შეჭრილებს, რომელთა შორის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ე.წ. ვეტერანები და სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი დედები იყვნენ.

ჟურნალისტის შეკითხვებზე რესპონდენტებმა უპასუხეს, რომ ისინი ე.წ. ხელისუფლებამ გახადა იძულებული მიემართათ ასეთი ზომებისთვის, რადგან დაპირებების მიუხედავად ე.წ. მთავრობა მათ არაფრით არ ეხმარება.

სიუჟეტის მსველელობისას ჟურნალისტის შეკითხვებს უპასუხა ოკუპირებული სოხუმის ადმინისტრაციის საბინაო სამმართველოს ე.წ. უფროსმა სერგეი მატოსიანმა. მისი თქმით, ეს უკვე მეოთხე შემთხვევაა, როდესაც მოქალაქეები უკანონოდ იკავებენ სხვის კუთვნილ საცხოვრებელს. წინა სამი უკანონოდ შეჭრის შემდეგ, ე.წ. ხელისუფლებამ ისინი დააკმაყოფილა საცხოვრებელით და მოქალაქეების ნაწილმა ეს ნორმად აღიქვა.

სიუჟეტის დასასრულს სერგეი მატოსიანმა განმარტა, რომ ოკუპირებულ სოხუმში ბინის მიმღებთა რიცხვში 2 400 ადამიანი ირიცხება. ამის გარდა, არინ ე.წ. ომში დაღუპულთა და ინვალიდთა ოჯახები, რომელთა რაოდენობაც 245 ადამიანია და ხანძრისგან დაზარალებულთა ოჯახები, რომელთა რაოდენობაც 107 ადამიანს შეადგენს და დაამატა, რომ ეს 352 ადამიანი ბინის მიმღებთა რიცხვში არ ირიცხებიან.

---

16.05.2018 იხ. ვიდეო <http://abaza.tv/news/?ID=5247>

## **„აფხაზეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები სანქტ-პეტერბურგში“**

სანქტ-პეტერბურგში გამართულ VIII საერთაშორისო იურიდიულ ფორუმს, რომლის თემაც იყო „კონსტიტუცია გლობალური ცვლილებების ეპოქაში და საკონსტიტუციო კონტროლის ამოცანები“ ესწრებოდნენ ოკუპირებული აფხაზეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ე.წ. თავმჯდომარის მოადგილე ლუდმილა ხოჯაშვილი და ე.წ. მოსამართლე დიანა ფილია.

საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოების კონფერენციის ფარგლებში მოისმინეს რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის და 40 ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეების, მათი მოადგილეების და მოსამართლეების გამოსვლები. აგრეთვე, მოისმინეს, რუსეთის იუსტიციის მინისტრის, ვენეციის კომისიის და გაეროს სოციალური, ეკონომიკური და კულტურული სამართლის კომიტეტის თავმჯდომარის და მისი მოდგილის გამოსვლები.

თემით, „საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრება აფხაზეთის რესპუბლიკაში“, ფორუმზე მოხსენებით გამოვიდა ლუდმილა ხოჯაშვილი. თავისი გამოსვლაში ოკუპირებული აფხაზეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ე.წ. თავმჯდომარის მოადგილემ გააშუქა ე.წ. საკონსტიტუციო რეფორმის ეტაპები და შეეხო ოკუპირებულ აფხაზეთში საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს შექმნასთან დაკავშირებული სირთულეების თემას.

---

17.05.2018 ვრცლად იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <http://www.apsnypress.info/news/sudi-konstitutsionnogo-suda-abkhazii-prinimayut-uchastie-v-viii-peterburgskom-mezhdunarodnom-yuridich/>

## **„აფხაზეთში ახალი საზოგადოებრივი საბჭოები იქმნება“**

„მსოფლიო აფხაზურ-აზაზინური კონგრესის“ თამჯდომარე მუსა ეკზეკოვი გამოდის წინადადებით, ოკუპირებულ აფხაზეთში კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის

მიზნით, შეიქმნას ქალთა, ახალგაზრდობის და უზუცესთა საბჭოები. ამის შესახებ მუსა ეკზეკოვმა, 20 მაისს, ქ. სოხუმში საზოგადოებასთან შეხვედრისას განაცხადა.

ე.წ. კონგრესის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დასახლებული საბჭოები შეიქმნება ოკუპირებული აფხაზეთის ყველა დასახლებულ პუნქტში.

მუსა ეკზეკოვის თქმით, „გვინდა შევექმნათ ქსელური მმართველობის სტრუქტურა მთელ მსოფლიოში. ჩვენ შევიმუშავეთ განვითარების პროგრამა ყველა დასახლებული პუნქტის, ოჯახის და ადამიანისთვის. იქნება ორი ოფისი სოხუმსა და სანქტ-პეტერბურგში. მსგავსი სტრუქტურა უკვე წარმატებით მუშაობს ყარაჩაი ჩერქეზეთის რესპუბლიკაში“.

მუსა ეკზეკოვმა ყურადღება გაამახვილა ქალების განსაკუთრებულ როლზე მოცემული პროგრამაში. მისი თქმით, გამოცდილება აჩვენებს, რომ სწორედ ქალები ასრულებენ ლოკომოტივის როლს მსგავსი პროგრამების წარმატებით საქმიანობაში და ამიტომაც, დაგეგმილი სამი საბჭოდან პირველ რიგში აპირებენ ქალთა საბჭოს შექმნას.

---

20.05.2018 ვრცლად იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <https://m.sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20180520/1024004681/novye-sovety-sozdadut-v-abxazii.html>

### **„აფხაზეთში სამართალდამცავების მიერ ამოღებული ნარკოტიკები გაანადგურეს“**

ე.წ. შს. მინისტრის, გარი არშბას ბრძანებით, ოკუპირებულ აფხაზეთში შეიქმნა ექსპერტულ-კრიმინალისტულ ცენტრში არსებული ნარკოტიკული ნივთიერებების განადგურების ე.წ. კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს დე-ფაქტო შს მინისტრის მოადგილე კაზბეგ კიშმახოვი.

ოკუპირებული აფხაზეთის შს სამინისტრომ ე.წ. კომისიის თანდასწრებით გაანადგურეს 244,844 გრ. მეტადონი, 2387,445 გრ. მარიხუანა, ოპიუმის შემცველი 300 ძირი ყაყაჩო და კანაბისის 96 ძირი.

აგრეთვე, ე.წ. ნარკოტიკების განადგურების კომისიაში ჩართულნი არიან დე-ფაქტო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, ე.წ. გენერალური პროკურატურის, ე.წ. საზოგადოებრივი პალატის და ე.წ. ეკოლოგიისა და ბუნების დაცვის კომიტეტის წარმომადგელები.

2016-2017 წლებში, ე.წ. ექსპერტულ-კრიმინალისტულ ცენტრში არსებული ნარკოტიკების განადგურების შესახებ შედგა ე.წ. აქტი, რომელსაც ხელი კომისიის წარმომადგენლებმა მოაწერეს.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, ე.წ. შსს-ს პრეს-ცენტრის ცნობით, ოკუპირებულ აფხაზეთში განადგურებულია 1,194 კგ. მეტადონი, 10 კილოგრამზე მეტი კანაბისი (მარიხუანა) და 3000 ძირზე მეტი ყაყაჩოს ოპიუმის შემცველი მცენარე.

---

21.05.2018 ვრცლად იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <http://apsnylife.ru/syuzhety/99-syuzhety/2808-unichtozheny-narkotiki-po-144-ugolovnym-delam>